

უაკ - 78

ქართული მრავალხმიანი სიმღერის გაერთიანების გზა**გიორგი კრავეიშვილი**თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია, თბილისი,
გრიბოედოვის 8**ანოტაცია:**

კლარჯეთში ფიქსირებულია ზოგადქართული მუსიკალური ენისთვის უცხო ორხმიანი სიმღერები. საუბარია ნიმუშებზე, რომლებისთვისაც დამახასიათებელია პარალელური სეკუნდები. მაჭახელის ხეობის გამოკვლით, თურქეთის ფარგლებში მოხვედრილ არცერთ სხვა კუთხეში, მრავალხმიანი სიმღერები ფიქსირებული თითქმის არ არის.

სტატიაში შედარებულია მესხური და კლარჯული ხალხური სიმღერები. მესხეთი კლარჯეთის მსგავსად საქართველოს ერთ-ერთი ძირძველი კუთხეა, რომელიც 1828 წლამდე ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში იყო. შემდეგ კი მეფის რუსეთმა შეიერთა, გადაასახლა რა მუსულმანი მესხები, მათ ადგილას დაასახლა ერზრუმიდან დევნილი სომხები, რის შედეგადაც მრავალხმიანი მღერის ტრადიცია კი დაიკარგა, თუმცა 1960-იან წლებში მუსიკისმცოდნე ვალერიან მაღრაძემ დააფიქსირა რამდენიმე ნიმუში, რომლებშიც ქართული მუსიკისთვის დამახასიათებელი ბურდონული ბანის გარდა წარმოდგენილი იყო კვარტებისა და კვინტების პარალელიზმი, რაც ასევე უცხოა ქართული მუსიკალური ენისთვის. ვინაიდან კლარჯეთშიც, მესხეთსა და ლაზეთშიც საქმე გვაქვს სიმღერების გაერთიანებასთან, თანაც როგორც სეკუნდების ისე კვარტებისა და კვინტების პარალელიზმი ზოგადქართული მუსიკალური ენისთვის უცხოა, ამგვარად ეს ნიმუშები სიმღერების გაერთიანების გზას წარმოადგენს.

საკვანძო სიტყვები: პარალელიზმი, გაერთიანება, სეკუნდა, კვარტა, კვინტა.

კლარჯეთი ისტორიული სამხრეთ საქართველოს ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს, რომელიც მოიცავდა მდინარე ჭოროხის ქვემო დინების აუზს არსიანის ქედიდან ვიდრე შავ ზღვამდე (ფალავა, შიოშვილი და სხვ. 2016: 8). მის შემადგენლობაშია დღევანდელი ბორჩხის, მურღულისა და ართვინის რაიონები. ბორჩხისა და მურღულის რაიონები ქართულენოვანია, განსხვავებით ართვინის რაიონისგან, სადაც ქართული მხოლოდ სოფელ ქართლაში (ოფიციალურად თუთუნჯულარ) იცინ. როდესაც ვყოფ თურქულ და ქართულენოვან სოფლებად, მხედველობაში აქვს უფროსი და საშუალო თაობა, ახალგაზრდების დიდმა ნაწილმა ქართული არც კი იცის, თუმცა, საბედნიეროდ ქალაქ მურღულის ერთ-ერთ სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლა უკვე მიმდინარეობს.

კლარჯულ მეტყველებაში დარჩენილია სიტყვა „მოზანება“ (კლარჯულად „მიზანება“, „მუზანება“, „შუზანება“ - ანუ მუუზანე და შუუზანე ერთი და იგივეა), როგორც

დაკვირვება აჩვენებს ეს ტერმინი ნიშნავს არა რეალურად ბანის მიცემას (როგორც ეს ზოგადქართულ მუსიკალურ ფოლკლორშია), არამედ დამწყების ხმაში აყოლას, როგორც უნისონში (ერთხმიანობა), ისე სეკუნდებშიც (ორხმიანობა). განსაკუთრებით აღსანიშნავი და საოცარია სეკუნდური პარალელიზმი, რომელიც შესრულების თითქმის მთელ პროცესს გასდევს. მართალია, პარალელური სეკუნდების წყალობით იქმნება ორხმიანობა, მაგრამ მას საერთო არა აქვს ქართულ მრავალხმიანობასთან. როდესაც ამგვარ მოვლენას (ანუ პარალელურ სეკუნდებს) პირველად წავაწყდი, ვიფიქრე, რომ ეს დიდი ხნის განმავლობაში შეუმღერებლობის გამო იყო (უნისონში ზუსტად ვერ მღეროდნენ), მაგრამ შემდგომმა ჩაწერამ და ძველი აუდიოკასეტების გაცნობამ დამარწმუნა, რომ იგი სრულებითაც არ იყო შემთხვევითი მოვლენა. მართალია კლარჯელების ნაწილი ამ სიმღერებს ერთხმიან ნიმუშებად მიიჩნევს, მაგრამ ორხმიანობა აშკარად იკვეთება. ამგვარი ნიმუშების დიდი ნაწილი 1970-80-იან წლებში თავად ადგილობრივების (სელატინ ჰაჯიოღლი, სულეიმან მერთ, ალი ბოლქვაძე და სხვები) მიერაა აუდიოკასეტებზე ჩაწერილი. მე კი 2015-2016 წლებში მხოლოდ ოთხ სოფელში მოვახერხე ორხმიანი სიმღერების ჩაწერა, ვინაიდან ნიმუშთა დიდი უმრავლესობა დღეს მხოლოდ ერთხმაზე იმღერება.

კლარჯული საქორწინო „გელინო“ ფიქსირებული 2015 წელს მურღულის რაიონის სოფელ ქორდეთში. ჩაიწერა და ნოტებზე გადაიტანა გიორგი კრავეიშვილმა.

კ ლ ა რ ჯ უ ლ ი ო რ ხ მ ი ა ნ ი გ ე ლ ი ნ ო

ჩ ა მ წ ე რ ი გ ი ო რ გ ი კ რ ა ვ ე ი შ ვ ი ლ ი

Adagio

გ ე - ლ ი - ნ ო - გ ე - ლ ი - ნ ო - და

ბ ე დ - ნ ო - ე - რ ი ო - ჯ ა ბ - შ ი

რას წარმოადგენს კლარჯული ორხმიანი სიმღერები? რა არის ეს? უძველესი ქართული ორხმიანობაა თუ დეგრადირების შედეგი? ძნელი დასაჯერებელია, რომ კლარჯეთის პირობებში ხალხურ სიმღერას ორხმიანობის პირვანდელი სახე შემოენახა. კლარჯული ფოლკლორის მსგავსი ორიოდე ნიმუში ხევისურეთშიც იძებნება (ჩხიკვაძე, 1960: 11). მაგრამ, იქ საქმე გვაქვს ხმების უფრო შემთხვევით შეხამებასთან, მაშინ, როდესაც კლარჯულში ხმები პარალელური სეკუნდებით თითქმის ყოველთვის ორგანიზებულად მოძრაობს. ხმების ქართულისთვის უჩვეულო შეხამებებით გამოირჩევა ასევე ორი თუშური სიმღერა (ასლანიშვილი, 1956: 184, 186-187) მაგრამ აქ საქმე უნდა გვქონდეს არა ხმების შემთხვევით შეხამებასთან, არამედ არასწორად შერჩეულ სიმაღლეებთან, სამწუხაროდ ამ ნიმუშების ხმოვანი ჩანაწერები არ მოგვეპოვება.

კლარჯული ორხმიანი სიმღერები, ჩემი აზრით ქართული მრავალხმიანი სიმღერის გაერთხმიანების გზაა. თუ რატომ ამას აქვე მოგახსენებთ:

ცნობილია, თუ როგორ გაუჭირდა ვალერიან მაღრაძეს მესხური ორხმიანი ნიმუშების დაფიქსირება, ამ მიზნით მოვისმინე მის მიერ 1960-იან წლებში ჩაწერილი

სიმღერები და აღმოჩნდა, რომ ქართული ხალხური მუსიკისთვის დამახასიათებელი ბურდონული ბანის გარდა, ასევე წარმოდგენილი იყო კვარტებისა და კვინტების პარალელიზმი, თანაც მეტად უჩვეულო ხმათასვლით. აქვე დავძენ, რომ ხმების ინტერვალური დამოკიდებულება სამხმარს სიმღერებშიც უჩვეულო იყო. მესხეთში მრავალხმიანი სიმღერის უკანასკნელი შესრულების თარიღები არ სცილდება XIX-XX საუკუნეების მიჯნას (მალრაძე, 1987). მიუხედავად ამისა, უსათუოდ აღსანიშნავია, რომ ჩაწერილ სიმღერებში ხმათა შეხამება თითქმის ყოველთვის სრულიად გააზრებული (და არა შემთხვევითი! – გ.კ.) სახითაა წარმოდგენილი. ნიმუშთა ნაწილი მთლიანად ჯდება ქართული ხალხური მუსიკის ჩარჩოებში და წარმოდგენილია ბურდონული ბანით. მაგრამ მეორე ნაწილში შეიმჩნევა ქართული მუსიკისთვის უცხო მოვლენები.

მესხური საფერხულო სიმღერა „მამლი მუხასა“ (ტრადიციული მრავალხმიანობა). ჩაწერილი ვალერიან მალრაძის მიერ. ნოტებზე გადაიტანა გიორგი კრავეიშვილმა.

მ ა მ ლ ი მ უ ხ ა ს ა

ჩ ა მ წ ე რ ი ვ ა ლ ე რ ი ა ნ მ ა ლ რ ა ძ ე

Allegro

მუ - ხა წონ-წი - ლებს წონ - წი - ლებს მა - მლი მუ - ხა - სა - ო

წონ - წი - ლებს-და წა - იქ - ცე - ვა მამ - ლი მუ - ხა - სა - ო

მესხური ისტორიული სიმღერა „შავლეგო“ (არატრადიციული მრავალხმიანობა). ჩაწერილი ვალერიან მალრაძის მიერ. ნოტებზე გადაიტანა გიორგი კრავეიშვილმა.

მ ე ს ხ უ რ ი შ ა ვ ლ ე გ ო

ჩ ა მ წ ე რ ი ვ ა ლ ე რ ი ა ნ მ ა ლ რ ა ძ ე

Moderato (♩ = c. 108)

შავ-ლეგ შავ-ლე შავ-ლეგ და შავ-ლეგ შავ-ლე-გო შავ-ლეგ შავ-ლეგ

შავ - ლეგ და შავ - ლეგ შავ - ლე - გო

შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ რომელიმე მოხუცს ბანი სწორად არ ახსოვდა და ამიტომ მღეროდა კვინტით ან კვარტით დაბლა? მაგრამ უნდა აღვნიშნო, რომ მალრაძეს მხოლოდ ერთი მობანე არ ჩაუწერია, ასე რომ, რაიმე სახის შემთხვევითობა, გამორიცხულია. უფრო მეტიც, ხშირად ერთი და იგივე მობანე მღერის

მრავალხმიანობის აქ დასახელებულ ორივე სახეობას. აქედან გამომდინარე ისმის კითხვა: მესხური, ქართული მუსიკისთვის არადამახასიათებელი მრავალხმიანი ნიმუშები, კლარჯულ ნიმუშებთან ერთად, მხოლოდ ქართული მრავალხმიანობის დაკარგვის შედეგია, თუ, ამავე დროს სიმღერების გაერთხმიანების გზა? როდესაც ჟურნალ მუსიკის 2015 წლის მეოთხე ნომერში გამოვაქვეყნე წერილი “თემა განსჯისათვის” იქ ორივე ვერსიას ვუშვებდი, მაგრამ ახლა, მასალის დამატებით გააზრებისას ვფიქრობ, რომ სინამდვილეში საქმე გვაქვს სიმღერის გაერთხმიანების გზასთან. ეს რომ მხოლოდ ქართული მრავალხმიანობის დაკარგვის შედეგი ყოფილიყო (და არა გაერთხმიანების გზაც), მაშინ იგი მესხურ ყოფას დღემდე შემორჩებოდა, ყოველშემთხვევაში ვალერიან მაღრაძეს თუნდაც ამგვარი ნიმუშების ფიქსირება არ გაუჭირდებოდა, ვინაიდან ისინი მთელ მესხეთში იქნებოდა შემორჩენილი. მაგრამ ფაქტია, რომ მესხური სიმღერა გაერთხმიანდა, ისევე როგორც კლარჯული. დღეს სეკუნდებში მღერა, მხოლოდ თითო-ორი ადამიანს შეუძლია, ეს მაშინ, როდესაც 1970-80-იან წლებში (მოპოვებული აუდიოკასეტების მიხედვით) ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა. ამიტომაც კლარჯული და მესხური არატრადიციული მრავალხმიანობა სიმღერის გაერთხმიანებისკენ მიმავალ გზას გვიჩვენებს.

საინტერესოა რას ამბობს მესხურ არატრადიციულ მრავალხმიან ნიმუშებზე, თავად ვ. მაღრაძე? 1976 და 1987 წლების შრომებში აღნიშნავს, რომ შესრულების სიზუსტეში მთქმელებს არ უნდა დავემდუროთ, მათ ხომ ისე იმღერეს როგორც გაახსენდათო (მაღრაძე, 1976: 100 და 1987: 83-84), ანუ იგი მაინც უზუსტობაზე მიუთითებს, არადა ჩემი აზრით კი, მიუხედავად ბანის ძნელად გახსენებისა, საქმე სრულიად გააზრებულ მოვლენასთან გვაქვს. ის სიმღერები, რაც რამდენიმე ათეული წლის წინ სეკუნდური, კვარტული ან კვინტური იყო, დღეს უმეტესად უნისონურად იმღერება.

ჟურნალ მუსიკაში ვწერდი, რომ ეთნომუსიკოლოგებს გამოეთქვათ თავიანთი აზრი ჩემს შეხედულებასთან დაკავშირებით. ეთნომუსიკოლოგების ნაწილმა გაიზიარა ჩემი აზრი, ნაწილმა კი მიიჩნია, ყურადღება მიმეცია საგალობლებისთვის. მართლაც, სეკუნდა და პარალელური სეკუნდები არ არის უცხო ქართული საგალობლების ზედა ხმებისთვის (როგორც დასავლურ, ისე აღმოსავლურ სკოლებში). მართალია, საგალობლებში ზედა ხმებში ხშირად გვხვდება სეკუნდა და სეკუნდური პარალელიზმი, მაგრამ ეს ფრაგმენტულია და თან მალევე განიტვირთება კონსონირებულ ინტერვალებში, შესაბამისად საგალობელი ქართული მრავალხმიანობის განუყოფელი ნაწილია. ძალიან არის გავრცელებული შეხედულება, რომლის მიხედვითაც ქართული საგალობლის წარმოშობის ერთ-ერთი მუსიკალური წყარო ბერძნულ-ბიზანტიურ ერთხმიან საგალობელთან ერთად, ქართული მრავალხმიანი სიმღერაა) თუ კი საგალობლებში სეკუნდების პარალელიზმი ფრაგმენტულად გვხვდება, კლარჯულ მუსიკაში კი ტოტალურია, ისმის კითხვა: ხომ არ იკვეთება კავშირი საგალობლებთან იმ განსხვავებით, რომ კლარჯულ სიმღერებს ბანი აკლია? არც ის არის შემთხვევითი რომ ტაო-კლარჯეთის მხარე გეგვლინება ქართული საეკლესიო ცივილიზაციის ერთერთ მძლავრ აკვნად?

საგალობლის ზედა ხმებში, სეკუნდურთან ერთად, ფრაგმენტულად ასევე გვხვდება კვარტული და კვინტური პარალელიზმიც, თუმცა აქ პარალელები მესხურ, ისევე როგორც კლარჯული მრავალხმიან სიმღერებთან მხოლოდ მოჩვენებითია.

ამგვარად მესხური ნიმუშები წარმოდგენილია როგორც ქართული ტრადიციული ბურდონული ბანით, ისე კვარტებისა და კვინტების პარალელიზმით. აღსანიშნავია, რომ იგივე სურათი გვაქვს ლაზეთში, ოღონდ განსხვავება მხოლოდ ხმოვანი ჩანაწერების ნაკლებობაა. ეთნომუსიკოლოგ გრიგოლ ჩხიკვაძეს მოაქვს ხოფელი ყასიმ ბეჟანიძის ცნობა ბურდონული სიმღერების შესახებ (ჩხიკვაძე, 1980: 38-39). 1951 წელს კი საქართველოს საპატრიარქოში ბატონი გრიგოლისა და კომპოზიტორ ნოდარ მამისაშვილის მიერ მოსმენილი ლაზური სიმღერები კვარტებისა და კვინტების პარალელიზმს ეფუძნებოდა (ეს თავად ბატონმა ნოდარმა მიაგმო). მართალია ჩვენ მოგვეპოვება ფილმში “Arhavi Belgeseli” ფიქსირებული პარალელურ კვარტებსა და კვინტებზე დაფუძნებული ერთი თურქულენოვანი ლაზური სიმღერა, მაგრამ რამდენად არის ეს ორგანიზებული მრავალხმიანობა (სმენითი შთაბეჭდილება ამ უკანასკნელზე მიუთითებს) ამის დანამდვილებით თქმა ჯერ მაინც არ შემოიძლება. ასე, რომ დამატებითი გარემოებებიც ხაზს უსვამს ქართული მრავალხმიანი სიმღერის გაერთხმიანების გზის არსებობას.

როგორი იყო კლარჯული სიმღერა თუნდაც ერთი საუკუნის წინ ძნელი სათქმელია, თუმცა ზეპირსიტყვიერი ცნობების საფუძველზე გარკვეული დასკვნის გამოტანა მაინც შეიძლება. მხედველობაში მაქვს მოგზაურ დიმიტრი ბაქრაძისა და პუბლიცისტ ზაქარია ჭიჭინაძის ცნობები: ბაქრაძე - „საუბრის დროს ქართული მაყრული მომესმა... ზენდიდელი ბეგი თურმე შავშეთელი ბეგის ქალზე ქორწინდებოდა და შავშეთიდან მას სიმღერით მოაცილებდა კარგა მოზრდილი მაყრიონი. . . სიმღერა, რომელსაც ამ დროს ასრულებენ - მაყრული, მისი სიტყვები და კილო, თვით ქორწინების ზეიმი - სამ დღეს ქორწილი, - ყველაფერი ეს წმინდა ქართულია და იგი შემონახულია არა მარტო აჭარაში, არამედ ყველგან ამ მხარის მუსლიმანებში“ (ბაქრაძე, 1987:50). ეს დაკვირვება, რომელიც 1870-იან წლებს ასახავს, ფრიად მნიშვნელოვანია. ბარქაძემ მოიარა არა მარტო აჭარა და შავშეთი, არამედ სხვა კუთხეებიც, მისი დაკვირვება მოიცავს კლარჯულ სოფლებსაც. თუკი ამ მოსაზრებას მივიღებთ, ეს კიდევ დამატებითი არგუმენტი იქნება იმისა, რომ კლარჯული სეკუნდური სიმღერები სხვა არა არის რა, თუ არა სიმღერის გაერთხმიანების გზა.

ბაქრაძის ცნობას მხარს უბამს ჭიჭინაძის მასალაც. “ამ დღეებში ერთ ხოჯას ყანაში ნადი ჰყოლია, მუშებს თავიანთის ქართული ხმებით დაუწყევიათ ყანურის მღერა, ამ სიმღერაში ხოჯაც აჰყოლია. ამაზე ხალხი ძლიერ გაკვირვებულა და ერთს უთქვამს, ხოჯა! აკი თქვენ ამბობდით, რომ გურჯულის მღერა ცოდვა არისო? თქვენც კარგად იმღერეთ ჩვენთანო!? – ყანაში მუშაობის დროს არა უშავს-რა ქართულს, მიტომ რომ ჩვენები თათრულს ასე ვერ აწყობენო, – მიუგო ხოჯამ. ეს ხოჯა მეტად ფანატიკოსია თურმე, სტამბულში გაზრდილი, ტომით ქართველი, მოძულე ქართველთა, მუშებმა სთქვეს: – ასე ყოფილაო, როცა მაგათთვის ვმუშაობთ, მაშინ თუ ვიმღერეთ, ცოდვა არა ყოფილაო და როცა ჩვენთვის, მაშინ კი დიდი ცოდვა არისო” (ჭიჭინაძე, 1913: 203-204). სავსებით სამართლიანია მონოგრაფია “კლარჯეთის” ავტორების მოსაზრება “ხოჯის სიტყვები („ჩვენები თათრულს ასე ვერ აწყობენო“) ქართული ჰანგის სპეციფიკაზეც მიუთითებს და შემსრულებელთა ოსტატობაზეც” (ფაღავა, შიომშვილი, და სხვ. 2016: 195). როგორც ძველ აუდიოკასეტებზე, ისე ჩემს მიერ ფიქსირებულ ჰანგებშიც, თავისუფლად ჟღერს როგორც ქართული ისე თურქული სიტყვიერი ტექსტებიც, არ არის იშვიათი მათი მონაცვლეობაც. მხედველობაში მაქვს როგორც ერთხმიანი, ისე ორხმიანი (სეკუნდური) სიმღერები. თუ კი მაშინ ჩვენებურები თათრულ “ასე ვერ

აწყობდნენ”, მეტყველებს იმ დროისათვის ქართული ხალხური მუსიკის კანონზომიერებების კარგად შენახვაზე. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ კლარჯულ დასაკრავებში არც თუ ისე იშვიათად დღემდე ჟღერს ქართული ხალხური მუსიკისთვის დამახასიათებელი მარტივი კადანსი, უნდა ვივარაუდოთ, რომ ხოჯას თანხლებით შესრულებული სიმღერა თუ მთლიანად არა, ნაწილობრივ მაინც იყო ქართული მრავალხმიანობის ორგანული ნაწილი. საყურადღებოა მუშების მიერ გამოთქმული უკმაყოფილებაც, რომლის მიხედვითაც ქართულ სიმღერას ხოჯები ცოდვად მიიჩნევდნენ და მის შესრულებას უკრძალავდნენ კიდეც. ამ ცნობიდანაც სჩანს, რომ რელიგიური ფაქტორი ერთერთი იყო ჩვენებურების სიმღერაში მრავალხმიანობის დაკარგვასთან დაკავშირებით. ხაზგასასმელია ისიც, რომ კლარჯული სიმღერების ჩვენთვის ცნობილი ყველაზე ადრეული ჩანაწერები 1970-იანი წლებით თარიღდება, მაშინ როდესაც ზაქარია ჭიჭინაძის ცნობები, თუ კიდეც უფრო ადრეულს არა, 1910-იანი წლების დასაწყისს მაინც ასახავს.

სიმღერის გაერთხმიანებაზე მეტყველებს 2015-2016 წლებში უმთავრესად ბორჩხის რაიონში მოპოვებული მასალაც, როგორც ჩემს მიერ ფიქსირებული, ასევე მოპოვებულ აუდიოკასეტებსა თუ სოციალური ქსელში განთავსებული ჩანაწერებიც. ექსპედიციამ გამოავლინა რომ ორხმიანი სეკუნდური სიმღერები დასტურდებოდა ბორჩხის რაიონშიც. იმ სოფლებში სადაც მოვახერხე სიმღერების ჩაწერა (არხვა, ჯივანი) სიმღერების უმეტესობა უნისონურად შესრულდა, თუმცა ორიოდ ნიმუშში შესამჩნევი გახდა სეკუნდები. სოფელ არხვას მოსახლურ ტრაპენშიც, დავაფიქსირე უნისონური შესრულება, ეს მაშინ, როდესაც თავად ტრაპენელი ალი ბოლქვაძის მიერ ძველ აუდიოკასეტაზე 1980 წელს ფიქსირებული სიმღერები, სწორედ, რომ სეკუნდურად ჟღერდა. 2015 წელს ბორჩხის რაიონის სოფელ თხილაზორში ჩემს მიერ ჩაწერილი “სოლერუმიაანაიანა” მართალია ერთხმიანი იყო, მაგრამ იგივე სოფელში, დაახლოებით იმავე თაობის სხვა წარმომადგენლებისგან უცნობი კაცის მიერ 2013 წელს ჩაწერილი იგივე ნიმუში სეკუნდურია. ჩემს მიერ 2015-2016 წლებში ჩაწერილ მასალებში არის სეკუნდური სიმღერები, თუმცა მათი რიცხვი მცირეა. გაცილებით დიდია უნისონურად შესრულებული ნიმუშების ხვედრითი წილი, ეს მაშინ როდესაც 30-40 წლის წინ ჯერჯერობით ჩემს ხელთ არსებულ აუდიოკასეტებზე ჩაწერილი კოლექტიური ნიმუშების უდიდესი ნაწილი სეკუნდურია და უნისონი მხოლოდ მცირე ხვედრითი წილითაა წარმოდგენილი. უფრო მეტიც, თინა შიოშვილმა მურღულის რაიონის სოფელ ოზმალში 2007 წელს ჩაიწერა “სოლერუმიაანაიანას” ფრაგმენტი 67 წლის ფიქრიე ბუენისა და 75 წლის ხაჯე შეიხოლლისგან, რომლებიც სეკუნდებში ინტონირებდნენ, როდესაც 2015 წელს ვესტუმრე ამ სოფელს, ქალბატონი ჰაჯე უკვე 2 წლის გარდაიცვლილი იყო და ქალბატონ ფიქრიას კი პარტნიორობას უწევდა 50 წლის ფატმა ორჰანი. ქალბატონი ფატმა სეკუნდების ნაცვლად, უნისონში ჰყვებოდა ქალბატონ ფიქრიას.

რაც შეეხება ძველ აუდიოკასეტებს, “სოლერუმიაანაიანას” გარდა უმთავრესად წარმოდგენილია ე. წ. დესტანები, რომელიც ერთი კაცის მიერ სრულდებოდა თხილაზორისა და არხვა-ტრაპენის, ოზმალისა და შესაძლოა ჯივანის (ალბათ, სხვა სოფლებისაც) მაგალითიც აჩვენებს, რომ ის სიმღერები, რომელიც დღეს უმეტესად უნისონურად სრულდება, 30-40 წლის წინ სეკუნდური იყო. შესაძლოა სეკუნდური სიმღერის გაერთხმიანებას ხელი შეუწყო მოსახლეობის ქალაქებში გადასვლამ და, შესაბამისად, ძველი სოფლური ტრადიციების დავიწყებამ (ინტერესმოკლებული არ არის მურღულში 30-35 წლის ახალგაზრდებში ქართული ენის არცოდნის ან ცუდად

ცოდნის ფაქტი). აღსანიშნავია, რომ მათ, ვისაც შეუძლია სეკუნდებში ინტონირება, მურღულელების თქმით კარგი შემსრულებლები არიან.

მიუხედავად იმისა, რომ ეს სიმღერები ყოფაში, სულ ცოტა, 30-35 წელია, რაც აღარ სრულდება, როგორც ჩანს ჩვენებურების ნაწილი შინაურ თავყრილობებზე მაინც ასრულებს ამ სიმღერებს, წინააღდეგ შემთხვევაში სიმღერების გახსენება, და სუფთად “მოზანება” (როგორც უნისონში ისე სეკუნდებში) უფრო ძნელი იქნებოდა.

სტატიაში მოთავსებულია ექვსი სანოტო მაგალითი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ფაღავა მ., შიოშვილი თ., და სხვ. (2016). კლარჯეთი. ბათუმი: სამშობლო
2. ჩხიკვაძე, გ. (1960). ქართული ხალხური სიმღერა. ტომი I. თბილისი: საბჭოთა საქართველო.
3. ასლანიშვილი, შ. (1956). ნარკვევები ქართული ხალხური სიმღერების შესახებ. თბილისი. საქართველოს მთავარი პოლიგრაფიული გამომცემლობა.
4. მალრაძე, ვ. (1987). ქართული (მესხური) ხალხური სიმღერები. თბილისი: ხელოვნება.
5. მალრაძე ვ. (1976). მესხური სიმღერების მრავალხმიანობის პრობლემებისათვის. (79-108). თბილისი: თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის შრომების კრებული.
6. კრავიშვილი გ. (2015). თემა განსჯისათვის. ჟურნალი მუსიკა N4. (თანდართული კომპაქტდისკით).
7. ჩხიკვაძე, გ. (1980). ლაზეთი და თანამედროვე ლაზური სიმღერა _ (ხელნაწერის უფლებით). ინახება ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის, ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების ლაბორატორიის არქივში. N2485.
8. შულღიაშვილი, დ. (2004). შემდგენელ-რედაქტორი. კომპაქტური დისკი ქართული გალობა თერთმეტი მარგალიტი. Eleven Pearls GEORGIAN CHANTING. თან ერთვის გაშიფრული მასალა.
9. კარბელოვი (კარბელაშვილი), ვ. (1898). ქართლ-კახური გალობა კარბელაანთ კილოთი. ცისკარი. თბილისი: გამომცემლობა მითითებული არ არის.
10. ბაქრაძე, დ. (1987). არქეოლოგიული მოგზაურობა გურიასა და აჭარაში (ატლასითურთ). ბათუმი: საბჭოთა აჭარა.
11. ჭიჭინაძე, ზ. (1913). მუსულმან ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში. ტფილისი: შრომა.

Article received: 2016-11-02